მემორანდუმი

ქ.ქუთაისი

10 მაისი 2016 წ.

ქუთაისის სამედიცინო სკოლა და შპს ლერი ხონელიძის სახელობის კლინიკა, *სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, რათა ხელი შეუწყონ ქუთაისის სამედიცინო სკოლის სტუდენტებს, მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალებად მომზადებას. ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი ძალისხმევით მოახდინონ:*

- *საგანმანათლებლო ინფორმაციების ორმხრივად გაცვლა;*
- *საწარმოო პრაქტიკის გავლა;*
- *სხვა ღონისძიებების განხორციელება ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად.*

ცალკეული ღონისძიებების ჩატარებისა და სხვა სახის ერთობლივი მოქმედებების განხორციელების რეგულირება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.
მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის ინტერესების დაცვის პრინციპებზე აგებული თანამშრომლობის შესაბამისად.
წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია ხუთი წლის განმავლობაში, მისი ხელმოწერის დღიდან. აღნიშნული მემორანდუმის ვადა შესაძლოა გაგრძელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარის 30 დღით ადრე წარმოდგენილი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე. ამ მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

შპს ლერი ხონელიძის სახელობის კლინიკა *დავით ხონელიძე*

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორი: *იოსებ კაჭახიძე*